დანართი-შეთანხმება №1

ქალაქ ქუთაისის მერიასა და შ.პ.ს „უტა“-ს შორის 2013 წლის 30 სექტემბერს გაფორმებული №360 ხელშეკრულებაზე

ქ. ქუთაისი 31 ოქტომბერი 2013 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონმდებლობისა და „მიმწოდებლის“ საკონკურსო წინადადების საფუძველზე, საკონკურსო განაცხადი **№968** კონკურსის ჩატარების შედეგად ქალაქ ქუთაისის მერიასა და შ.პ.ს „უტა“-ს შორის, 2013 წლის 30 სექტემბერს გაფორმდა №360 ხელშეკრულება 5600 (ხუთი ათას ექვსასი) ლარზე, რომლითაც განსაზღვრულია ქალაქ ქუთაისში ზოგიერთ ქუჩაზე ღვარსადენი ქსელის მოწესრიგებისა და გზის საფარის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (13 ობიექტი).

შ.პ.ს „უტა“-ს 2013 წლის 16 ოქტომბრის №05 წერილის და ქალაქ ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის 2013 წლის 28 ოქტომბრის №292 (01-8468, 28.10.2013წ.) მომართვის საფუძველზე მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასაპროექტებელი ობიექტების ჩამონათვალი შეიცვალოს კორექტირებული დასაპროექტებელი ობიექტების ჩამონათვალის გათვალისწინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

ერთის მხრივ თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია, ქალაქის მერის მოადგილის თენგიზ თოფურიძის სახით (ქ. ქუთაისი 4600, შ. რუსთაველის გამზ. №3, ს/კ 212721170 ტელ: 24-10-24) (შემდგომში „შემსყიდველი“).

მეორეს მხრივ შ.პ.ს „უტა“, (მისამართი: ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. №21-38, ტელ: 599 23 88 22; ს/კ 404896127, ს.ს „თიბისი ბანკი“-ს ქვემო ქართლის რეგიონალური ფილიალი, ბანკის კოდი **TBCBGE22**; ა/ა GE51TB7264836080100001) (შემდგომში „მიმწოდებელი“).

ვდებთ ამ შეთანხმებას შემდეგზე:

1. მხარეები თანხმდებიან, რომ 2013 წლის 30 სექტემბერს გაფორმებული №360 ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასაპროექტებელი ობიექტების ჩამონათვალი შეიცვალოს კორექტირებული დასაპროექტებელი ობიექტების ჩამონათვალის გათვალისწინებით (თან ერთვის).
2. მხარეები თანხმდებიან, რომ 2013 წლის 30 სექტემბერს გაფორმებული №360 ხელშეკრულების მე–10 მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები გავრცელდება ამ დანართი შეთანხმების პირველი მუხლით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.
3. დანართი შეთანხმება №1 ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს 2013 წლის 30 სექტემბერს გაფორმებული №360 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

ზურაბ გაბიძაშვილი	**თარაშ დაუშვილი**
ქალაქ ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	შ.პ.ს „უტა“-ს დირექტორი
(შემსყიდველი)	(მიმწოდებელი)

საქართველო
თვითმმართველი ქალაქი-ქუთაისის მერიის
ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახური

№ 292
"28" 10 2013 წ.

4600, საქართველო, ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3
ტელ: (+995 431) 24 34 33, 24 27 65
e-mail: kutaisiinfrastructure@gmail.com

ქ. ქუთაისის მერის მოადგილეს
მერის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ **კონსტანტინე ლომიძეს**

30.10.2013

ბატონო **კონსტანტინე**

ქ. ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურში შემოვიდა შპს „უტა"-ს წერილი რომელიც 2013 წლის 30 სექტემბერს გაფორმებული №360 ხელშეკრულების შესაბამისად ანხორციელებს ქალაქ ქუთაისში ზოგიერთ ქუჩაზე ღვარსადენის ქსელის მოწესრიგებისა და გზის საფარის მოწყობის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას (13 ობიექტი).

ორგანიზაცია საველე-საკვლევაძიებო და ტოპო-გეოდეზიური სამუშაოების ჩატარების შემდეგ იძლევა რეკომედაციას (თან ერთვის წერილი ერთი ფურცელი).

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ დაავალოთ ქალაქ ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს განახორციელოს აღნიშნული ხელშეკრულების დანართის ცვილილება თანდართული სახით (თან ერთვის ერთი ფურცელი).

პატივისცემით

ზურაბ ზამბახიძე

სამსახურის უფროსის მ/ შემსრულებელი

31.10.2013

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის
მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და
მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური
№ 760
31. 10 2013 წ.

01-8468
28 10 13

შ.პ.ს. "უტა"
თბილისი, საქართველო
ქავთარაძის 21-38
ტელ: 5 99 23 88 22
Arsakidze@yahoo.com

L.L.C "Uta"
Tbilisi, Georgia
Str. Qavtaradze 21-38
Tel: 5 99 23 88 22
Asakidze@yahoo.com

№05

16 ოქტომბერი 2013წ

თვითმმართველ ქალაქ ქუთაისის
კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელს,
ბატონ ზურაბ ზაბახიძეს

8-6 ვ.ნასიდის
გეგლეთში ჩ.ეკიტერ
21.10.2013

ბატონო ზურაბ,

შპს „უტასა" და თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიას შორის გაფორმებული 30 სექტემბრის №360 ხელშეკრულების თანახმად დავასრულეთ საველე-საკვლევაძიებო სამუშაოები; ტოპო-გეოდეზიური სამუშაოების ჩატარების შემდეგ ვიძლევით რეკომენდაციას შემდეგზე:

1. ნინოშვილის მე-3 ჩიხი არ საჭიროებს ღვარსადენს, რადგან ჩიხის სიგრძე არის 67 მეტრი და აქვს ბუნებრივი დახრა ნინოშვილის ქუჩის მიმართულებით; წყალი თავს მოიყრის ნინოშვილის ქუჩაზე არსებულ საწრეტში
2. ლომონოსოვის პირველი ჩიხი არის არსებული ღვარსადენი? და ჩვენი ორგანიზაციის მიერ დაპროექტებას არ საჭიროებს
3. თავისუფლების მე-2 შესახვევში საჭიროა მოეწყოს ღვარსადენი კიუვეტი
4. ზ.ჭავჭავაძის №8-დან №20-მდე - აღნიშნული მისამართზე არის ახლად მოწყობილი ასფალტო ბეტონის საფარი; საჭიროა დაპროექტდეს ზ.ჭავჭავაძის ქუჩის დასაწყისი ბენზო გასამართი სადგურიდან საბავშვო ბაღამდე და 24-ე სკოლიდან ზ.ჭავჭავაძის ქუჩის გადაკვეთამდე; ბეტონის საფარი შეიცვალოს ასფალტო ბეტონის საფარით რადგან ამ მონაკვეთების დასაწყისი და დასასრული არის ასფალტო ბეტონის საფარები
5. დ.ნიჟარაძის პირველი შესახვევი არ საჭიროებს ღვარსადენს რადგან არის მცირე მონაკვეთი და გზას აქვს ბუნებრივი ქანობი
6. ჩხობაძის მე-3 შესახვევიში არ არის რეკომენდირებული მოეწყოს სანიაღვრე, რადგან ამ ტერიტორიაზე არ არსებობს სანიაღვრე ქსელი რომელიც მიიღებს ჩხობაძის მე-3 შესახვევიდან წამოსულ წყალს; აგრეთვე ქუჩის დასაწყისია რის დაუსახლებელი და მეორე ნაწილი დასახლებული ჭიშკრები დაცილებულია დაახლოებით 18-20 მეტრი მანძილით რაც საშუალებას იძლევა გზიდან გადმოსული წყალი გავიდეს გაზონებში

გთხოვთ, აღნუშნულ საკითხებთან დაკავშირებით გაგვცეთ პასუხი დაუყოვნებლივ, რათა განვაგრძოთ სამუშაოები.

პატივისცემით
შპს „უტას" დირექტორი

თარაშ დაუშვილი

"UTA" LTD
404896127
GEORGIA
საქართველო

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის
მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა
და კეთილმოწყობის სამსახური
№ 298
17. 10 2013 წ.

შ.პ.ს. "უტა"
თბილისი, საქართველო
ქავთარაძის 21-38
ტელ: 5 99 23 88 22
Arsakidze@yahoo.com

L.L.C "Uta"
Tbilisi, Georgia
Str. Qavtaradze 21-38
Tel: 5 99 23 88 22
Asakidze@yahoo.com

ტექნიკური დოკუმენტაცია

დასაპროექტებელი ობიექტების კორექტირებული ჩამონათვალი

№	ობიექტის დასახელება	ზომები სიგრძე/ სიგანე(მ)	ღირებულება (ლარი)
1	დია ჩიანელის პირველი შესახ. ღვარსადენით - ასფალტის საფარი	246 * 5 მ	430 (ლარი)
2	სინაურის მე-2 ჩიხი - ასფალტის საფარი	119 * 3 მ	430 (ლარი)
3	ნინოშვილის მე-3 ჩიხი - ბეტონის საფარი	150 * 4 მ	430 (ლარი)
4	გრიბოედოვის მე-2 შესახ. - ბეტონის საფარი	85 *3 მ	430 (ლარი)
5	ლომონოსოვის პირველი ჩიხი - დაწნეხილი ფილები	99 * 5მ	430 (ლარი)
6	თავისუფლების მე-2 შეს. ღვარსადენით - ასფალტის საფარი	287 * 6მ	430 (ლარი)
7	ზ.ჭავჭავაძის ქუჩის დასაწყისი ბენზო გასამართი სადგურიდან საბავშვო ბაღამდე და 24-ე სკოლიდან ზ.ჭავჭავაძის ქუჩის გადაკვეთამდე - ასფალტობეტონის საფარი	170 * 7მ	430 (ლარი)
8	დ.ნიჟარაძის პირველი შესახ. - ბეტონის საფარი	80 * 7მ	430 (ლარი)
9	ჩხობაძის მე-3 შესახ. - ბეტონის საფარი	604 * 11მ	440 (ლარი)
10	მუსხელიშვილის ქ. №2-დან №1ა-ს შორის ღვარსადენით - ბეტონის საფარი	270 * 6მ	430 (ლარი)
11	მუსხელიშვილის ქ. მე-4 შესახ. ღვარსადენით - ბეტონის საფარი	335 * 9მ	430 (ლარი)
12	ნიკეას ქ. №27-დან - ბეტონის საფარი	160 *8მ	430 (ლარი)
13	გურამიშვილის ქუჩის გაგრძელება - დაწნეხილი ფილები	109 * 5მ	430 (ლარი)
	სულ ჯამი		**5 600 (ლარი)**

შენიშვნა: დასახელებული ობიექტების ზომები დაზუსტებული იქნება ჩვენი ორგანიზაციის მიერ.

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად არის მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, საავტორო ზედამხედველობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები.

საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული იქნება საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო სახარჯთარღიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებით საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას განვახორციელებ ანაზღაურების გარეშე.

პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით შეთანხმდება შემსყიდველთან.

შპს „უტა"-ს დირექტორი: თარაშ დაუშვილი